ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული



საუმაღვილო ჟურნალი
მცირეწლოვანთათვის

№№ 21–24 1917 წლისა.

ცისკარი

წელიწადი მე-XIII. №№ 21—24. 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

2-5818

ნიზმარი.— სურ. კუდბახისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I სიზმარი,—სურათი კაუბლბახისა 1

II—ვანოს ნიკორა,—ლექსი 3

III მოჩხუბრები,—ცქვიტისა 5

IV—ილიკო და ბელურა,—ლექსი გ. თეძმისხეველისა 9

V—შობამ იბრალა,—დ. კასრაძისა 14

VI—აუნთებელი შობის ხე,—ელოსი 21

VII—გასართობი: ხალხური ლექსები და ანბანა . . . . . 3?

სტამბა-ლიტოგრაფია კავკასიის რკინის გზისა, ტფილისი 1917.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანოს ნიკორა

იუვარს ჰატარა ხარი ნიკორა,
დიდ კამეჩებში რომ გარეულა,
და ბალახსა სძოვს გამალებული,
ბალახს—ცვარ-ნამით რომ მოფრქვეულა.

მიუვარს ნიკორას მკვირცხლი მიმოხვრა,
მისი წმუილი და ჭიდაობა,
თხრილებზე კოსტად, მჩატედ გახტომა,
რქებით მიწის თხრა და ბუღრაობა.

სულ მუდამ დახტის მოუსვენარი,
ხშირად უანებშიც შეიჰარება,
ნორჩ ჯეჯილს მოსძოვს, მილეწ-მოლეწავს,
საწყალი მუშა არ ებრალება;

მაგრამ ნუ ფიქრობთ—ასე, ამგვარად
სულ ცუღლუტობდეს ჩვენი ნიკორა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა! მას შრომაც ესალისება,
თუ რომ ისტუნა, თუ რომ იგორა.

აჰა, გაუბეს აგერ ულელში,
მოძმედ მოჰგვარეს დინჯი შავგულა,
ულელი ორთავ ძმურად გასწიეს,
ნახეთ ნიკორამ თუ იორგულა!!..

სულ არ ჩამორჩა თვის უფროს ძმასა,
თავი ერთსელაც არ შეირცხვინა,
ღრმა-ღრმად გაავლო კვალი-კვალზედა,
„ბელტი ბელტოზე გადმოაწვინა“...

მოსაღამოვდა!.. ჩვენი ხარები
ულლით გამოსსნეს დამაშვრალები;
ვანომ ორივეს ოფლი მოსწმინდა,
ამოუკოცნა გრძნობით თვალები;

საბალახოზე წაასსა წყვილად;
ხარბად სძოვს ბალახს ჩვენი ნიკორაც.
ჰა, დაისვენა, კვლავ ხტის, ბუღრაობს,
ისევ ის არის, წინეთ იყო რაც.

ი. სიხარულიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩხუბრები

ა... ქამ...სა... ამა...სა... და... და... და ქრის...ტე... მაც...ხო...ვ...არი...—უშნო და ხრინწიანი ხმით აჭიანურებდა კიკოლა დიაკვანი და ეოველ სიტყვას, რასაც კი ქამნიდან უცებ ვერ ამოიკითხავდა, ისე ელაპარაკებოდა, რომ მისი წაკითხული ოთახში მომწყვდეულ ფუტკრის ზუზუნს უფრო ჰგავდა, ვიდრე ლოცვასა და ღაღადს.

საღამო ქამი იყო და უკვე ჩამობნელებულ ეკლესიაში აქა-იქ აბჟუტებული ევითელი სანთლები მკრთალ ნათელს ჰფენდნენ იქაურობას. ეკლესიაში არავინ იყო, გარდა ერთი მოხუცებული დედაკაცისა, რომელიც უკან კუთხეში დასასვენებლად ჩაცუცქულიყო და იმ ბინდ-ბუნდში დიაკვნის უშნო ბზუილზე ისე სთვლემდა, ლოცვა ხუთჯერ რომ გამოსულიყო, ის ვერაფერს ვერ გაიგებდა. ეს კი იყო, რომ მის გვერდით მდგომ ჰატარა ბიჭს, როცა დიაკვანი რომელსაღაც ნაცნობ სიტყვას უცებ წამოიყვირებდა და ზედაც გაუთავებელ „ფალო შეგვიწყალე, ფალო შეგვიწყალე“-ს მიაყოლებდა, ბებერი თვალებს აჭყეტდა და ბიჭს შესტუტუნებდა:

—ჰირჯვარი დაიწერე, შვილო, ფუფალას შეევედრე, გენაცვალოს დიდედა,—და თან თვითონაც ხმა-მაღლა წუწუნით და ოხვრით წამოიძახებდა:

—შენი მადლისა და შენი სახელის ჭირიმეო,—და კინწმოწყვეტილი ისევ მალე ლულავდა თვალებს. ლექსას ბარემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვისა და ვედრების დარდი არა ჰქონდა, მაგრამ დიდედას თითქოს სათრს რაკი ვერ უტეხდა, ერთს კი გაიქნევდა ხელს და გაფოთებული ზედი-ზედ ისე იწერდა ჰირჯვარს, თითქო შეშინებული თავიდან კრაზანას იშორებსო; შემდეგ ჯიბეში ჩაიყოფდა ხელს და კოჭები რომ ანხაკუნდებოდნენ, თანაც მოუსვენრად კარებს გახედავდა და კოჭებს უფრო მაგრა ბღუჯავდა.

ერთხანად დიაკვანს დაბადების რომელიღაც გვერდი დაეკარგა და იმის ძებნაში უგემურად აბზუებული უცებ გაჩუმდა. დიდედამ ალბად იფიქრა, ახლა რაღას უნდა უგდო ეური: მანამ დაიწყებს, ჰატარას დავისვენებო და ამ სიჩუმეში თოვლდადებულ ჯაგივით ღრმად მოიხარა, ისეთი ფშვინვა ამოუშვა, იქ დატრიალებულ ამბავს რომ არ გამოეღვიძებინა—იქნებ ორი ღამე გაეტარებინა ამ ეოფაში.

სწორედ ამ წამს ეკლესიაში წითელ-ხალათა მეორე ჰატარა ბიჭი შემოვიდა, და რაკი ეგონა—ლოცვა გათავდაო, ბებრის გვერდით ატუზულ ბიჭს კარებიდან ამრეზილმა გამოხედა და ჩუმად, მაგრამ მაინც მკვახედ გამოსძახა:

—ე ლოცვა ხომ გამოვიდა და აბა ახლა გარედ გამობრძანდი, ჩაკირულ კოჭის წართმევა როგორც უნდა—მე შენ გიჩვენებო.

ლექსამ ჰასუხის მაგივრად მუშტი მოუღერა და ჯიბრზე კოჭები ჯიბეში ააჩხაკუნა. ახლად შემოსულმა ბიჭმა ველარაფერი ვერ აწამა, რადგან დიაკვანმა ბზუილი ისევ გააბა და ცოტა არ იყოს დიაკვნის დიდმა ჩახველებამ და თვალების გადმობრიალებამ მის სიბრაზეს უუჩი მოსტეხა: ის იქვე კედელზე გარინდებული მიეყრდნო და ლოცვის გათავებას მოუსვენრად ლოდინი დაუწყო. დიაკვანი ჟამნის კითხვას კიდეც ათავებდა, როდესაც მაღლა სერობის ხატის წინ ანთებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელი გვერდზე გადიზნიქა და ძირს ჩამოვარდა. ახლო მდგომი წითელ-ხალათა ბიჭი იმ წამსვე გაქანდა ასაღებად, მაგრამ ამავე დროს ბებრის შვილისშვილიც უკან სწრაფად აედევნა. სანთლის ასაღებად ორივე ერთ წამს დასწვდნენ, თავები რჩოლალა თხებივით ისე ძლიერ დააჯახეს, რომ მიურუებულმა ეკლესიამ გრიალით პასუხი გასცა. ორივე სიმწარით, მაგრამ უფრო სიბრაზით მთლად აენთნენ, მეტადრე ბებრის ბიჭს ძოვერასაგან მოტვლეპილი თავი ძლიერ დაეწვა.

— აი შენა და ღვთის რისხვა, შე ქაჩალო: შენ რაღა მეტიჩარასავით ეტანები; ესეც კოჭების მოტაცებაა, თუ რა არის?

შეტევა მაინც წითელ-ხალათა ბიჭმა დაასწრო, თან სანთელს სწრაფად ხელი დასტაცა და მოპრიალებულ თავში სანთელითვე ისე მაგრა უთავაზა, რომ ეკლესიაში თითქოს ტაში შემოჰკრესო, ისეთი ტკაცა მოიღო.

უარესად გაცეცხლებული ბებრის ბიჭი ახლა კი როგორც ქორი ისე ეძგერა მეორეს და კანკელის წინ ისეთი მუშტის კრივი გაჩაღდა, გეგონებოდათ იქაურობა ინგრევაო. შიგნით მიეუჩებული მღვდელი ახლა კი ტრაპეზიდან გულ-გახეთქილი გამოვარდა, დიაკვანი ჯამნით ხელში მოჩხუბართ უვირილით გამოეკიდა, მაგრამ გამოფხიზლებული ბებერი ბნელ კუთხიდან წეევლა-კრულვით რომ მოესია, ერთ წამს დაწუნარებულ ეკლესიაში ისეთი ხმაურობა შეიქნა, იტეოდით სალიტანიოდ მთელ სოფელს თავი მოუურიაო.

ცოტა ხნის შემდეგ, ეს ორი მოუსვენარი ეკლესიიდან რის ვაი-ვაგლახით გარედ გამორეკეს, მაგრამ მარტო დარჩენილი მღვდელ-დიაკვანი დიდხანს ვეღარ დაწუნარდნენ. სამაგიეროდ იმ უგულო ბზუილის მაგივრად ამ აღელვებულ გულზე ისეთი რიხიანი ლოცვა-გალობა დააგუგუნეს, თითქოს დიაკვნის დიდი ქუდის მეტი, რომელიც მის გვერდით ოთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხიან ხის სკამზე მლოცველივით ზორბად გამოჯიმულიყო, ეკლესია ხალხით სავსე ეოფილიყოს. ეს კი იყო, რომ ჯერ კიდევ გულ-დაუმშვიდებელი დიაკვანი ზოგჯერ ლოცვასთან ერთად ზედ წყევლასაც ურთავდა:—ფუი, დასწყევლოს ღმერთმა, არა, იმ სალასანებმა აქ რა საკრივე ადგილი იპოვნესო!—ამავე დროს დიაკვნის სიტყვებს გალავნიდან იმავ ბიჭების მსიარული სიცილ კასკასი ზედ ისე ეკვესებოდა, გეგონებოდათ მათ ბუზიც კი არავისთვის არ აუფრენიათო,

ცქვიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილიკო და ბელურა

(საშობაო)

კოლიდან მორბის ილიკო
შინისკენ გამალებული,
არ ეკიწუდება დედისა
ბირობა დაყალებული:

რომ არ გაებას ტოლებში,
შორ-შორ უაროს ეტლებსა,
ან ხრამში არსად ჩავარდეს,
არ ეხახუნოს კედლებსა.

უფრთხილდეს ეველა ფათერაკს,
ხიფათსა მოსარიდებსა,
ზრდილობიანად მოეპყრას
უფროსებსა და დიდებსა.

ჩამოირბინა ბილიკი:
ბიჭები ჭრიამულობდნენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელურა ჩიტი შეეპერათ—
იმაზე მხიარულობდნენ.

შეუბრალებელ თანდილას
ფეხზე კანაფი მოება,
კაკანათისა დადგმაში
გამოეჩინა შნოება...

მას ახარებდა ჩიტისა
შიში, თრთოლა და ფართხალი,
ხელში ნისკარტით ებრძოდა—
ის იყო ჩიტის ფარ-ხმალი.

ხან საწყლად ინაბებოდა,
ხან გასაფრენად იწვევდა;
მისი ულონო ცდილობა
ბავშვების ხარხარს იწვევდა.

რა დაინახა ილიკომ,
გულმა დაუწყო ღონება:
ჩიტისა შველა ისურვა,
შემოიკრიბა გონება:

—რისთვის მინდა ეს ბზრიალა,
აბგაში რომ მიკდიაო,
ვითომ რაძე ვალი მმართებს,
ამით გადამიხდიაო.

მალე, ორი კვირის შემდეგ,
შობა დილა გათენდება,
ბედნიერი ის იქნება,
ვინც პირნათლად მას შეხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე ვისაც ჰყვარებია
ჩაგრულების თანაგრძნობა,
ქრისტეს მცნებას ის ასრულებს,
მისთვის მოდის წმინდა შობა...

ბედი ჩემი, რომ არ ავცდი
საშველ საქმეს ამ დილასა!..
ამოიღო თავის ნივთი,
დაანახვა თანდილასა.

უთხრა:—ეს ჩემი ბზრიალა
მვირფასი და კარგიაო,
გამიცვალე მაგ ჩიტშია,
შენთვის მეტი ბარგიაო.

ვიცი—ხათრს არ გამიტეხავ,
გეთაყვანე, გენაცვალე,
ნუ აწვალებ, მოგიკვდება,
ცოდო არის, შეიბრალე!

თუ ბზრიალა არ გეყოფა,
აჰა, შოლტიც შენა გქონდეს,
ჩემისთანა მეგობარი
რად გინდა რომ დაგიღონდეს?..

მას თანდილა დაჰყაბულდა
და გადასცა თავის ჩიტი,
ილიკომ შინ გააქანა,
ვით მვირფასი მარგალიტი.

უამბობდა დედილოსა
ჩიტის ამბავს, იმის ბედსა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა კარგი შვილისათვის
უმადლიდა შემოქმედსა.

უთხრა:— ჩემო ბიჭუკელა,
დედა შენი გენაცვალოს,
გაიეგანე, გააფრინე,
რად გინდა რომ აქ ეწვალოს!

ვერ აიტანს ტკვეობასა,
იდარდებს და დალევს სულსა,
ბოლოს შველა აღარა აქვს
წუხილსა და სინანულსა.

ბავშვმა უთხრა:—მეც კი მინდა
ვაამო და არ ვაწუინო;
მაგრამ ფრთები ძლიერ სტკივა:
როგორ უნდა გავაფრინო...

ცალ ფესვაცა ვეღარ ადგამს,
კანაფი აქვს განასკული;
მინდა მოვსხნა და ვერა ვსხნი,
ამის ცოდვით მეწვის გული!

მოეხმარე, დედილოჯან,
ჩანაჭდევი არ ვატკინოთ,
ეგებ ფრთხილად შემოვახსნათ,
ვაჭამოთ და მოვარჩინოთ,—

თორემ ასე რომ გაუშვა,
თოვლში სადმე ჩავარდება,
საკენკს ვერაფერს იშოვნის,
გაჰყინავს და გაფიჩხდება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილად ეოფნა, სმა და ჭამა
მოაცოცხლებს, მოუხდება,
ფრთებში ძალა მიეცემა,
ფეხიც მალე მოურჩება...

მაფი ნელა შემოახსნა,
ნამცეცები დაუყარა,
ჯამით წყალი წინ დაუდგა,
ნაზი გული გაუხარა.

ფაქიზადა შეინახა,
მოუარა, მოარჩინა,
შემდეგ კარში გაიყვანა,
გაუშვა და გააფრინა.

ცქრიალა და მხიარული,
მოჭიკჭიკე, მონავარდე,
თითქო ციდან უგალობდა:
—დედას, დედას გაეზარდე!

გიგო თეძმისხეველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოგამ იგრალა

I



ჩემი სათვალე... რა იქნა ჩემი სათვალე?.. რა ვქნა—ეს სულ იმისი ოინი იქნება, იმ გასა-ქრობისა!

დიდედამ მთელი სახლი გადააქოთა. ახლა საბავშვო ოთახშიც შეიხედა, სადაც თიკა დი-ლას აქეთია ჯაჭვაში იეო შობის ხის მო-სართავად, ძაგრამ კარების ჭრიალთან უეც-რივ გაჰქრა.

—არც აქ არის... სად უნდა იეოს!?.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოტრიალდა, მაგრამ ვიდრე კარს გაიხურავდა, სავარძლის ქვეშიდან გამოძვრა მოუსვენარი ჰატარა გოგონა და ზურგზე ცეცვსავით შეასტა:

—ბებიკო... კიკ-ლი-კო!..

—აკი ვთქვი, ჩამოდი, შე გასაქრობო... რა უეავი ჩემი სათვალე?.

—სათვალე? აი, ბებიკო.

ხელი მარჯვედ გადააცურა და ვითომც სარტულის ჰირიდან ამოუღო გადამალული სათვალე.

—აგელა, ბებილო.

—ჭო.. იჭ, რა გულმავიწყი ვარ. წეღან აქ არ ჩავიდე...

თითონვე მოიბოდიშა. თიკა კი თავის ოინზე გულიანად ხითხითებდა.

—დამაცა, დამაცა, რა გიეო...—გაიგლო გულში და ისევ ზურგზე მოექცა.—აი, ის ვითამასოთ, ბებიკო, აჩუ გუდაი.

და თვითონვე აღარ აცალა:

—აჩუ, გუდა,
ელბოს ქილა...
სენცა წამე,
მეც მაწამე...
სენს სვილებსაც
სეუნახე...

დიდედაც აჭევა ფესის ხმას და ვერც კი შეჭნიშნა, თუ კუდრაჭამ ხელასლად როგორ ხელ-მარდად მოჭპარა სათვალე და ხელად თავის შობის ხესთან გაჩნდა. ხის სკამი მიიდგა, ისე მაღლა ჩამოჭკიდა, რომ დიდედას თვალი და ხელი ადვილად ვერ შეეგლო. შემდეგ მოჭევა ქურდობის გაგრძელებას. ნამდვილი ჩხიკვი გახდა! რა არ მოიჭპარა, გეთაუვათ: სათითე, მაკრატელი, დედის ოქრომკედით ნაქარგი თავსაკრავი! ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი საკაბეც არ დაინდო, უქმეებისთვის რომ ვერ ბრ-
უსწრეს. დაუგდო მაკრატელი და გიეგარდეთ, რომ სულ ნა-
კუწ-ნაკუწებად აქცია! შემდეგ ხელი მიჰყო ამ ნაკუწებით სა-
ეკვარელ შობის ხის მორთვასა. როგორ გაიხარა, ასე მორ-
თული რომ დაინახა!

— დილილმე!. ახლა ბიჭიკოს მესტებიც მოვიტანო!

და ხელად საეკვარელ ძამიკოს საწოლთან გაჩნდა. ვიდრე
ის გამოიღვიძებდა, მისი ჯერედ ჩაუცმელი კეწ-კეწა წითელი
მესტები ფრთა-შესხმულმა გამოაქანა და შობის ხის კენწე-
როზე სწორედ იმ ადგილას ჩამოაკონწიალა, სადაც შუშის
წითელი ბურთი ეკიდა და ფანჯრიდან შემოსრიალებულ სხი-
ვებთან ერთად სიხარულით ცეკვავდა.

II

თიკა ერთხანად სტკბებოდა შობის ხის მზერით, მაგრამ
მალე შეამჩნია, რომ არც დაჰარული და არც კეთილად შეძე-
ნილი ქალაქიდან ჩამოტანილი ნივთები არ იკმარებდა მის
საბოლოო მოსაკაზმავად. დიდ საგონებელში ჩავარდა, თუ
კიდევ რის მოჰარვა შეიძლებოდა. უნდოდა დიდედისთვის კა-
ლათიდან ჩურჩხელები მოეჰარნა, მაგრამ იქით გასვლა ვეღარ
გაბედა, რადგანაც სწორედ ამ დროს გაიგონა მისი ხმა:

— რა ვქნა, რა მექნა სათვალები.. ჩემი სათვალები რა
იქნა!..

თიკამ გულიანად ჩაიცინა, თანაც შიშმა გაუქრობლა, ეს
რა სასიფათო რამეს გადავეკიდეო. მაგრამ თიკა რაღა თი-
კუნა იქნებოდა, რომ დიდედას ხელიდან ვერ გასხლტომოდა!
და აი, მისვე თვალწინ სკამებ ქვეშიდან ისე გასრიალდა
და ხელად მარანში ამოჰყო თავი, რომ ბებრუცუნა დიდე-
დამ მის ეურთან ბარე ხუთჯერ დაიძახა მოუსვენარი ფუს-
ფუსით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—აქ ხომ არ დამივარდა სათვალე...

თიკამ კი თაგვსავით დაიწყო სუნსული: ჯერ ჩურჩხელები ამოჭრიბა, შემდეგ ვაშლისა და ეურმნის ჯაგნებს შეავლო თვალი. კბილები აუკაწკაწდა. ჯაგნები საკმაოდ მაღლა ეკიდა, ხელით ვერ სწვდებოდა. მიიხედ-მოიხედა. ხის სკამი შენიშნა. როგორც იყო, მიიდგა. შემდეგ აცოცდა. მაგრამ მომხიბვლელი ჯაგანი ისევ საკმაოდ მაღლა იყო. ფეხის თითებით აიწია, ხელი წაატანა, მაგრამ... ბრაგ!.. ჩვენი ქალბატონი თავმა გადასძლია და ვინ იცის—დამსხვრეულიყო კიდეც, რომ მის სიმარდეს არ ეშველნა და მუხლ-წაკეცით მირს ტუაპა არ გახდომოდა! გიუვარდეთ, რომ თავზე ვაშლ-მსხლის სეტევამ წამოუშინა! გადავარდნის დროს წინა თითებით ჩამოწუვეტილ ჯაგნებიდან ხრიალ ხრიალით წამოვიდა ეს ტკბილი სეტევა და თავი და ზურგი ლაზათიანად ჩაუქექა მოუსვენარს. მაგრამ შეხედეთ ამ კუდრაჭას! ხელად წამოხტა; სიმწარით თვალები მუშტით მოიმშრალა და საჩქაროდ წითელ-ქარვის ნასეტევს წინსაფარში დაუწყო კრეფა. შემდეგ ხომ სულ ერთიანად მიივიწყა შუბლისა და თავის კოპები, როდესაც სათითაოდ დაალამაზა და ნაირ-ნაირი ძაფებით ერთი-ორად გაამშვენიერა სათაუვანებელი შობის ხე.

III

ის-ის იყო შობის ხის მორთულობა დაასრულა და ჰატარა ძამიკო ჭიკჭიკას დასაძახებლად გამოსწია, რომ მისმა ერთგულმა ჭრელმა ფისოძ ჩამოირბინა. შესდგა. გულში გაეღიმა:

—ფის! ფის! ფის!..

ფისუნიას იამა ჰატარა ქალბატონის ალერსი და უმალვე კალთაზე შეახტა. ზურგი აიკლაკნა, დარკალდა, თვალები მოს-

ჭუტა, წაიკრუტუნა და ნაზად კუდით ცაცუნი დაუწეო ლოეებზე. თიკამ დაჭკოცნა:

—ცემო ფისიკო, ლოგოლ ბძანდები? კაგა? უნდა გაგალამაზო!

ეელზე მოწითალო ფარჩის ნაჭერი შეაბა, ფისო გაუეუჩდა: იამა დობილის ასეთი ალერსი, მაგრამ, ცოტა არ იეოს, ეუცხოვა და ეურები სცქვიტა, როცა კუდრაჭამ გამოეურთმაჯებულ ვარდისფერ მაფით კუდი შეუნასკვა:

—რაო, ქალბატონო, ეგ როგორიდა ხუმრობაა... მომსსენი, გეთაეგა, მომსსენი... სხვა რამე ვითამაშოთ...

—დაიცა, დაიცა, ფისუნი, ნუ გეშინიან, ახალ თამაშობას გასწავლი! აი იქ ჩამოგკიდებ და...

კუდით ასწია. შობის ხისაკენ გააქანა. ციცომ ძებრალებით შეჰკნავლა.

—ნუ დამტანჯავ, ქალო, ცოდო ვარ!

თიკამ ეურიც არ ათხოვა:

—ახლავე, ახლავე...

ციცომ ხმა აუმაღლა. ეს უკვე გაფრთხილება იეო. ბოლოს მუქარაზე გადავიდა და შეუფუცხუნა კიდეც...

—ფხუკ!.. ფხუკ!.. ფხუკ!..

მარჯვედ წელის აქნევით თათი იბრუნა და კლანჭებით მთლათ ლოეები ჩამოაგაზა. ამას კი არ ელოდა ჰატარა ქალბატონი. ფერწასულმა ერთი საშინლად შეჰღრიალა: ვაიმე დედა, მიშველეო, და ჰირუკეღმა გადაკოტრიალდა. განთავისუფლებული ციცო კი იქვე კუთხეში მიდგა და თავისთვის წაიტუტუნა:

—არა, ხომ გითხარი... რა ჩემი ბრალია რა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

თიკას ღრიალზე დედა და დიდედა შემოცვივდნენ.

— რა ამბავია?..

თიკა ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო, მხოლოდ ცრემლებსა და ქვითქვითს მოუმატა.

— მიაუუუ! რაღა რა ამბავია, მე ვცემე და ის იყო... მაგრამ ჩემი ბრალი კი არ არის.

თავს მართლულობდა ციცო. ამასობაში შობის ხესაც შეავლეს თვალი.

— უი, დამიდგეს თვალი—ეს რა უქნია!—დაიძახა ჯერ დედამ:—საკაბე, ქალო, ეს საკაბე რისთვის დასჭერი?

— ჩემი სათვალე... აგერა ჩემი სათვალე!..—იძახოდა თავის მხრით დიდედა.

— ქა, შეხედე, ვაშლები, ჩურჩხელები...

ორთავემ სათითაოდ ამოარჩიეს ქალბატონის ნაქურდალი და ნაოინარი.

— ეს რა გიქნია, შე არ დასაცალებელო შენა,—ხმა აუმაღლა დედამ:—კაბას კი არა—შავქვასაც ალარ შეგიკერავ...

უნდოდა კარგებისა მიეცხო, მაგრამ დიდედამ შეაჩერა:

— კარგია, ქალო, ბედნიერი დღეა, შობის სახელით ვაპატიოთ...

დიდედას სიტყვით გამხნევებულმა თიკამ სახიდან ხელი ჩამოიღო.

— უი, მოგიკვდეს დედა, ეს რამ გიყო!..

— ციცომ...

სლოკინით ძლივს მოახერხა.

დედის სიბრაზე ახლა სიყვარულად შეიცვალა.

— შენ ჩემო თავო, როგორ მოხდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიკა გამოტეედა თავის ცოდვაში, თანაც ფიცულობდა, შემ-დეგ სულ კარგად მოვიქცევიო.

— აბა, შე მოუსვენარო ბუზანკალო, როგორ, გინდოდა, რომ თვალები მთლად დაეთხარა?

— შობამ იბრალა, თორემ...

სიტყვა დაუმატა დიდედამ და შვილისშვილი საუვარლად გადაკოცნა, როცა მეორე ოთახს გადიოდნენ. ფისო კი იქვე ხავარძლის ეურთუკზე გაშხლართულიუო, თან ულვაშებში ეცინე-ბოდა და თან თვალების ბჟუტვით კრუტუნებდა:

— ჩემმა მზემ, მართლაც შობამ იბრალამ, შობამ... ჭმ!?.

დ. კასრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აუნთებელი შობის ხე

I

ეთო, მარო, ადექით, გენაცვალეთ, არ დაგიგვიანდეთ სასწავლებელში; გაიხედეთ—რამოდენა თოვლი მოსულა!—ეუბნება დეიდა თამრო ჰატარა ქეთოს და თამროს, რომლებიც ჯერ ისევ ტკბილ ძილში ვერ გამორკვეულან და თბილი ლოგინიდან ადგომა ეზარებათ:

მეორე ოთახიდან მოისმის იმათი ბიძაშვილების, კოტესი და ლეოს, მხიარული ლაპარაკი. იმათი ხმაურობის გაგონებაზე ქალებმაც ეურები სცქვიტეს: ეშინიათ, რომ ძმებმა არ გაუსწრონ სასწავლებელში.

მხიარული და მარდი ქეთო წამოხტა და მიირბინა ფანჯარასთან, რომ დაენახა ჰირველი თოვლი. ჰატარა ზლაზნია მაროს კი ისე ეზარება ადგომა; დაავიწყდა კიდეც, რომ იმ დღეს მასწავლებელმა ძალიან კარგი წიგნი უნდა წაუკითხოს; გუშინ სულ იმას ფიქრობდა,—ნეტა მალე გათენდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდე—გავიგო რა მოუვიდა წითელ ქუდას, ხომ მგელმა ხომ შეჭამაო.

ქეთო ზის მაგიდასთან, მხიარულად შეექცევა საუზმეს, თან რაღასაც უამბობს ბავშვებს. მალე ეველანი მზად არიან, ალაგებენ სასწავლო ნივთებს, ეთხოვებიან დეიდა თამროს და მიდიან სასწავლებელში.

სამი წლის ილიკო, რომელიც იქვე სდგას, ტირილით ეხვეწება, მეც თან წამიყვანეთ, დედამ აბგა უნდა შემიკეროს და შიგ ხილს ჩავიწყობო.

—ნუ სტირი, ჩემო ილიკო,—სიცილით ეუბნება მარო:—დღეს ცივა და ხვალ წაგიყვანო.

დეკემბრის სუსხიანი დილაა. ბავშვებს ლოყები წამოსწითლებიათ, თვალები უბრწყინავთ, მარდად მიდიან თან ლაპარაკობენ.

—როგორ გაუხარდება ტასიკოს, როცა უამბობ რომ ჩვენ გვიმართავენ შობის ხეს,—ამბობს ქეთო.—ნეტა მალე გავიდეს ეს დღეები, რომ სახლში წავიდეთ. იცი, მარო, იმ ღამეს მე დედასთან დავიძინებ; ისე მივეკვრები, რომ გადაბრუნებაც ვეღარ შესძლოს. ის კი დამხურავს საბანს, თბილად ჩამიტკეპნის და მეტყვის: „დაიძინე, გენაცვალოს დედა, თბილად იყავი: გზაში შეგცივდაო. ხვალ, რა დრომდისაც გინდა, მანამდის გეძინოსო“. მე კი, გათენდება თუ არა, ფეხზედა ვარ; მინდა მალე ეველას დაუარო,ეველანი ვნახო. ტასიკო კი წევს შუადღემდის; იმას ძილი ეველას ურჩევნია; თანაც მე მეჩხუბება. შინ იჯექი,—ნუ თუ არ მოგწყინდა სხვაგან ეოფნა. ან წაიკითხე წიგნი, ან დედას შეეშველე საქმეშიო,—ამბობს ქეთო და თან სულ ხტომით მიდის სასწავლებლისკენ.

წმ. ნინოს სასწავლებელი, მეჩვიდმეტე საუკუნეში აშენებული, მეფე ერეკლეს ნაქონი სასახლეა. შიგ არის ჰატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახი, სადაც გარდაიცვალა მეფე ერეკლე, და დიდი სადარ-ბაზო ოთახი, თაღებით გადაეკვანილი. გვერდით წმინდა ნინოს ეკლესიაა, და მეორე მხრით, ბაღის შესავალში, კოშკია, საიდანაც მეფე ელაპარაკებოდა ხალხს, ომის ამბებს უზიარებდა, ან რაიმე საქმის შესახებ ესაუბრებოდა. ეს კოშკი ახლა ისეა ჩამონგრეული, რომ მერცხლებიღა იკეთებენ შიგ ბუდეს.

ქეთო და მარო რომ მივიდნენ, ჯერ ისევ ადრე იყო. იქ მცხოვრებ ქალებს ის იყო გაეთავებინათ საუზმე და სასადილო ოთახიდან მოდიოდნენ. ქეთო და მარო ეს ორი წელიწადია ამ ქალაქში ცხოვრობენ. ამათი სოფელი ა..... ოცი ვერსის სიშორეზეა ამ ქალაქიდან. ქეთოს უფროსი და ტასო ამ სასწავლებელშია დღე და ღამ, რადგან სუსტი ბავშვია და გარედან სიარულს ვერ აიტანს. მარო ამათი მეზობლის ქალია და დიდი მეგობარი ქეთოსი.

ტასიკომ შორიდანვე შეასწრო თვალი თავის დას და მისასალმებლად გაექანა. ქეთომ უამბო,—წერილი მივიღე დედასაგანაო, ჩურჩხელები და ვაშლიც გამოეგზავნაო; მწერდა: „დედა გენაცვალოთ, ჩემო გოგონებოო, მალე დაგითხოვენ, და აბა თქვენ იცით—კარგი სწავლით და თქვენი ნახვით გამახარებთო.“ იცი კიდევ რას იწერებოდა: „ძია ირაკლი შობის ხეს გიმართავთო. ხის საძკაული უკვე გამოიწერა და ყველასთვის შესაფერი საჩუქრებიო: ზოგისთვის სელსაქმის ეუთი, ზოგისთვის—სასატავები, ეულაბები, ლამაზი წიგნები, ბევრი საინტერესო საგნებიო. სკოლის შეგირდებიც უნდა მოიწვიოსო. ამბობს, ისე უნდა გავახარო ბავშვები, რომ დიდხანს ახსოვდეთო. ძალუა კიდევ გპირდებათ „ბევრი ტკბილი ნამცხვრები უნდა დაუმზადოო“,—უამბობდა ქეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთოს ლაპარაკზე სხვა ბავშვებიც შემოეხვივნენ და ეცინ-ოდენ. ეველას თვალები უბრწყინავს, ვისაც მხიარული შობა მოელის.

— ჩვენ ძალიან გვიყვარს ბიძია ირაკლი,—ამბობს ტასიკო:—ზაფხულში უფრო იმათთანა ვართ ხოლმე, რადგან იმათ ბევრი გასართობები აქვთ. თვითონ ძიაც ჩაერევა ხოლმე ჩვენ თამაშობაში და ჩვენთან ერთად მხიარულობს.

— იცი, ქეთო,—ეუბნება ტასო თავის დას:—ნუცუკოც თან წავიყვანოთ. ვთხოვთ დეიდა მაშოს, რომ ჩვენთან წამოსვლის ნება მისცეს.

— ოჰ, ნეტავი ძალე მოვიდეს დღესასწაულები,—ამბობენ სხვა ბავშვებიც, და ზოგი ცალ ფეხზე ტრიალებს, ზოგი ტაშსა სცემს.

„ძინ, ძინ, ძინ!“ გაისმა ერთბაშად ზარის ხმა, და ბავშვები საჩქაროდ გაემართნენ კლასებისკენ... იქ, სადაც აქამდის საშინელი ჟრიამულის ხმა იდგა, ახლა სრული სიჩუმე ჩამოვარდა და მხოლოდ მახლობელ კლასიდან მასწავლებლის მოუთმენელი ხმა ისმოდა.

II

სოფელს ა....ში ბიძია ირაკლის ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი შუა სოფელში სდგას; გარშემო ხეხილის ბაღი არტეია; აივნის წინ ევავილების ბაღია, სახლის გვერდით—ხეივანი, და ცოტა მოშორებით კი—ასწლოვანი კაკლის ხე, რომლის ქვეშ დიდ სიცხეშიაც გრილა. კაკლის ქვეშ გამართულია მაგიდა და სკამები. აქედან მოსჩანს თოვლიანი მთები, რომლის ძირშიაც მიჰკვრია სოფელი ა.... მშვენიერი დასანახია, როდესაც მთებს მოეფინება უკანასკნელი სხივები, კალთები კი ამ დროს საღამოს მუუდროებას მისცემიანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მარტო მაღალი ხის ტოტები რაღასაც საიდუმლოდ შრიალებენ.

დეკემბრის ცივი საღამოა. ეველა სახლის საკვამლეებიდან კომლი ამოდის. შორიდან რომ შეხედო,—სოფელი მთლად კომლშია გახვეული. ეზოებში მეძროხეები და ჩანან, ბზის კოდრებით ზურგზე, ეშურებიან ძალე დაბინაონ საქონელი და მოუსხდნენ გახურებულ ბუხარს. დედაკაცებიც მიეშურებიან სახლისკენ, წელით სავსე კოკებით მხარზე. ძნოლოდ ბიძია ირაკლის ეზოში მოისმის რაღაც ხმაურობა. მოსამსახურე საჩქაროდ ჰკაზმავს ცხენს, თან ეურს უგდებს ქალბატონს, რომელიც ეუბნება:

— აბა, შენ იცი, ნიკო, მარდად იარე და ეს წერილი ექიმს ხელში მიეცი, თან შეეხვეწე, რომ მალე წამოვიდეს. ხომ იცი—ბატონი როგორ ავათ არის, და ნურსად გაჩერდები,—ეხვეწება ძალუა თიკო, თან ძლივს იმაგრებს ცრემლებს.

ნიკომ ამასობაში ცხენიც შეკაზმა; მოაჯდა და თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო თიკომ, რომ მხედარი ალაყაფის კარებს მოეფარა. თითქოს ცხენიც გრძნობდა, რომ იმისი საყვარელი ბატონი განსაცდელში იყო. თიკო მარდად შეტრიალდა სახლში და საწოლ ოთახისკენ გაეშურა, სადაც ავადმყოფი ქმარი ეგულებოდა.

— ჩემო თიკო, რამ დაგაღონა?—დაინახა თუ არა, უთხრა ირაკლიმ:—ნუ გეშინია, მე კარგად ვიქნები, თითქმის აღარაფერი მტკივა, უკეთა ვარ უფრო; ეს სიცხეც მინელდება და ხვალ-ზეგ ავდგები. ახლა მე წოლის დრო არა მაქვს. რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვებს დაითხოვენ, ჩვენ კი არაფერი გვაქვს მზად იმათ გასართობად. მოდი, ჩემო თიკო, დაჯექი ჩემთან: იცი, რადგან აქ არ იშოვება ნაძვის ხე, ლეკებს მთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან უნდა ჩამოვატაინოთ; დურგალი მისა კიდევ დასადგმელს გაუკეთებს; მალე სათამაშოებიც უნდა მივიღოთ. საჩუქრებისთვის უნდა გავაკეთოთ ფიცრის კიბე, წითელ მაუდ-გადაფარებული. ევავილებით იქნება მორთული და სათამაშოები ეწყობა. ტკბილეული, მაგიდაზე დაწყობილი, ცალკე იდგება, ყველაზე კარგი სანახავი სოფლის ბავშვები იქნებიან. როგორ გაუბრწყინდებათ თვალები, როცა გაჩირაღდნებულ ხეს დაინახავენ. შობის ხე მე თვითონ უნდა მოვრთო. რომ იცოდე როგორ გავალამაზებ, როგორ მოვაწყობ. არ დამავიწყდება, როგორ შობის ხეს გვიმართავდა საწყალი ბიძია ნიკო! მოსართავებს და სათამაშოებს საზღვარ გარეთიდან იწერდა. ისეთ საჩუქრებს მივიღებდით ჩვენ, ბავშვები, რომ დიდი ადამიანიც არ იტყოდა უარს! მერე როგორ იყო ხოლმე გაჩირაღდნებული! ეჰ, კარგია ბავშვობა, და ბევრი კარგიც მომაგონდება იმ დროიდან! ამისთვის ისე მინდა, რომ ყველა ბავშვმა სიხარულით გაატაროს თავისი სიყმაწვილე. რომ იცოდე, თიკო, რამდენი ფიქრი მიტრიალებს ამ აზრის ასასრულებლად.—მგონი რა მოუთმენლად ელიან ბავშვები ამ დღესასწაულებს!—ესე ლაპარაკობდა ძია ირაკლი და ეტყობოდა ისიც ბავშვებზედ არა ნაკლებ ელოდდა შობის ხეს. ძალუა თიკო დაღონებული მისჩერებოდა გაჩაღებულ ბუხარს. ეურს უგდებდა თავის საყვარელ ირაკლის და თან ფიქრობდა: „ღმერთო, რათ მიკვნესის ასე გული, რად არის ასე ავად, რატომ არა ჭშვეილის წამლები? ნუ თუ აღარ მორჩება და სამუდამოდ მოგვაკლდება ამის სიმხიარულე და იმედი?! ავადმყოფს მალე ჩაეძინა, რადგან სიცხემ უმატა.

თიკო დიდხანს იჯდა ჩუმათ და ჩაჰყურებდა ირაკლის; შემდეგ ადგა, ჩაჯდა საკარძელში, და რადგან თვითონაც რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვენიმე ღამის უძილო იყო, ძილმა თავი წაართვა. შუა ღამე გადასული იყო და მოწმენდილ ცაზე მთვარე მოკაშკაშებდა. სოფელში სიჩუმე იყო. მხოლოდ შორიდან ძაღლის ზარმაცი ყეფა მოისმოდა. თიკო ერთბაშად ავათმყოფის კვნესამ გამოაღვიძა. ის საჩქაროდ მივიდა ირაკლისთან და ჰკითხა:—რა იყო, ირაკლი, რა გაწუხებს. ავათმყოფი მთლათ ოფლში იყო გაწუწული და უთხრა:

— ისევ გული და ხელები ამტკივდა; არაფერია, ნუ გეშინია, გამივლის—მაგრამ იმისი დასუსტებული ხმა და გაფითრებული სახე არაფერს კარგს არ მოასწავებდა,—არა მიშავს-რა, თიკო, მომეცი ხელი. აი, აღარა მტკივა,—თან ულიმოდა თიკოს და ცდილობდა არ ეჩვენებინა—რა რიგად იტანჯებოდა; მაგრამ თიკო გრძნობდა, რომ უბედურება კარზედ მოსდგომოდა და უკანასკნელათ-ღა ხედავდა თავის საყვარელ ირაკლის სახეს.

შუა დღე მოტანებული იყო. ბიძია ირაკლის ეზოში ხალხი შედიოდ-გადიოდა და ყველას სახეზე მწუხარება მოსჩანდა.

სახლიდან დედაკაცების ქვითინი და მოთქმა მოისმოდა: —ჩვენო იმედო, ახლა გაჭირებაში ვიღას მივმართოთ, ქვრივ-ობრის მამავ,—მწარედ დასტიროდნენ ისინი თავიანთ საყვარელ ირაკლის...

ყვავილებით მორთულს ოთახში შუა ადგილას ესვენა ყველასთვის საყვარელი ძია ირაკლი და მის გვერდით იდგა ძალუა თიკო. ხმა-ამოღებლივ, გაქვავებული დასცქეროდა ირაკლის დამშვიდებულ, მოღიმარ სახეს, რომელიც თითქოს ეუბნებოდა: მე ავასრულე ჩემი ვალი, რითაც შემეძლო ვანიჭებდი ყველას სისარულს; ახლა კი უნდა დავისვენოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

დადგა დღესასწაულები, ბავშვები დაითხოვეს. წმ. ნინოს სასწავლებელშიც გათავდა სწავლა და ქალები საჩქაროდ ალაგებდნენ ბარგს შინ წასასვლელად; ზოგი მასწავლებლებს ეთხოვებოდა, ზოგი აძსანაგებს ჭვირდებოდა წერილების მიწერას.

ტასო და ქეთოც, საგზაოდ მომზადებულნი, გამოეთხოვნენ მასწავლებლებს და ამხანაგებს და დეიდა თამრომ წაიყვანა დილიჟანთან, რითაც ისინი უნდა წასულიყვნენ თავიანთ სოფელში.

მედილიჟნე არაუაძეს, რომელსაც ეოველ-დღე დაჭუავდა მგზავრები სოფელ ა....ში, იმდენი ბავშვები მოუკრეფია, რომ როდესაც ქეთო და ტასო მივიდნენ, კინაღამ ტირილი არ დაიწყეს—ჩვენთვის ადგილი აღარ დარჩებაო. მაგრამ არაუაძ კეთილი კაცია, თანაც ფული უყვარს და სცდილობს არვინ დააგდოს წაუსვლელი. ბოლოს როგორც იყო ყველანი ჩასხა. ზოგი მაღლა დასხა, და მალე დილიჟანი დრიგინ-დრიგინით გზას გაუდგა.

მთელი გზა ბავშვები მხიარულად ლაპარაკობდნენ,—არ აცლიდნენ ერთმანეთს სიტყვის დათავებას. ვისაც კარგი სწავლის ნიშნები ჭქონდა, ამხანაგებს აჩვენებდა; ზოგი მღეროდა, ზოგი იცინოდა. კარგა ხანია არაუაძის დილიჟანში ესეთი მხიარული მგზავრები არა მსხდარან; მხოლოდ ტასოს და ქეთოს ცოტა მოწყენა ეტეობოდათ.

მალე მდინარე ალაზანი გაიარეს. გზა გაანასევრეს, და არაუაძემ დილიჟანი დააყენა; ბალასი დაუყარა ცხენებს. ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვები მაშინვე ძირს ჩამოიშალნენ; ზოგმა საუზმეს ჭამა დაუწყო, ზოგი ცხენთან მივიდა. ყველამ რამე გასართობი იპოვა; ზოგი ისევ დილიჟანში შესტა.

როდესაც ცხენებმა დაისვენეს, ისევ გზას გაუდგნენ. მალე სადამომ მოატანა; სოფელი ა....ც გამოჩნდა: აგერ საუდრის გუმბათი... ხევიც გაიარეს... ბავშვების მოთმინება ილევა და იმათ სახეს დაღლილობა ეტყობა; მზად არიან ჩამოსტნენ და სახლამდის ფეხით მიირბინონ: ჰგონიათ, რომ უფრო მალე მივლენ.—„ოჰ, ნეტა მე მივერეკებოდე ცხენებს",—ფიქრობს ჰატარა ივანე,—„ერთ წუთს სოფელში ვიქნებოდი"...

სიცივემაც იმატა. ბავშვებს ლოყები გასწითლებიათ, ხელფეხი დაეყინათ, და აქამდის თუ მხიარული ეიყინა ისმოდა დილიჟნიდან, ახლა იქ სიჩუმეა.

აი ნაცნობი ქიტა,—ურმით შეშა მოაქვს; გვერდით თავისი ჰატარა ბიჭი ოსია მოსდევს და ესეც უჯავრდება კამეჩებს: უნდა მალე მივიდეს სახლში, სცივა, გალურჯებულა სიფრიფანა ხალათში. ქეთო და ტასიკოც დაიღალნენ დელეყანში სხდომით და ეჩქარებათ შინ მისვლა და დედის ნახვა.

მალე გალავანიც გამოჩნდა. ცოტა კიდევ გაიარეს და დილიჟანი დააყენეს. დილიჟნის კარის გაღება აღარ დააცალეს, რომ ბავშვები ძირს ჩამოიშალნენ. ჰატრონებიც იქვე ელოდნენ; ყველა თავის შვილს მიეგება. ტასოს და ქეთოს დედაც აქვე იყო. ქეთო მაშინვე შემოეხვია დედას ყელზე; მორცხვ ტასიკოს კი ეხათრებოდა ამდენ ხალხში დედის მოალერსება. ნინომ, თავის გოგონების ნახვით გახარებულმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩქაროდ უბრძანა ბიჭს ბარგი წამოელო და შვილები თან წაეყვანა, სადაც გასურებული ბუსარი ელოდათ. იმათი სახლი აქვე ახლოს იყო.

როდესაც ბოგირი გაიარეს და დაინახეს ბიძია ირაკლის გამოურუებული ეზო-ეურე, ბავშვები ერთბაშად გაჩუმდნენ და დედას მიეკვრნენ; ამითი თითქოს ამბობდნენ—ჩვენ გვიხარიან, დედა, შენთანა ვართ, სახლში დავბრუნდით, მაგრამ არ დაგვიწყებია საწყალი ძია.

მალე სახლში მივიდნენ. მათ გამოეგებათ ქეთოს გამდელი დარო; გამდელს მოემზადებინა ბავშვებისთვის ნაზუქები, ხილი, თან ჰკოცნიდა ბავშვებს და თან ხილს სთავაზობდა. ბავშვებს თხოვნა არ მოუნდათ: შემოუსხდნენ მაგიდას და გულიანად შეექცნენ ეველაფერს. როდესაც ბავშვებმა ჭამა გააათავეს, ტასიკომ მაგიდის ალაგება დაიწყო; ქეთო კი დედას კალთაში ჩაუჯდა და მეზობლების ამბავს ეკითხებოდა. ნინო ეველას ამბავს უამბობდა, მხოლოდ ძია ირაკლის ამბავს გაურბოდა, რადგან იმისმა სიკვდილმა ძალიან ჩასწეკიტა გული. ბავშვებს კი უფრო იმის ამბვის გაგება უნდოდათ. ბოლოს ნინომაც აასრულა იმათი წადილი და უამბო, როგორ მოკვდა ირაკლი, რაძდენ რამეს ჭვირდებოდა ბავშვებს, თან ვერცკი ატეობდა, როგორ ჩამოსდიოდა ცრემლები... ჰატარა ქეთოც ძალზე ქვითინებდა.

—დედა გენაცვალოს, უთხრა ნინომ და თან გულში ჩაიკრა,—ნუ სტირი, მხოლოდ ეცადე, რომ ეოველთვის, როცა გინდა ცუდი რამ ჩაიდინო, მოიგონე ძია ირაკლი, იმისი კეთილი გული, როგორი სიევარულით ეჰერობდა უცნობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ნაცნობს, შორეულს თუ მახლობელს, და თქვენც ასე მოიქეცით, ჩემო გოგონებო. შობის ხეს კი წელს ვედარ, შემდეგ კი ოჯველთვის გაგიმართავთ, და როდესაც გაჩირაღ-დნებულ ხესთან მიგვალთ, ჩვენი დაუვიწყარი ძია ირაკლი მო-ვიგონოთ...

ელო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსები

(ჩაწერილი ნ. კეცხოველის მიერ)

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

კამეჩი ღონიერია,
უღელს ატარებს ხისასა;
გაუჭირდება წაიღებს
თავისასა და სხვისასა.

*
* *

ამოქროლდი ქვენა ქარო,
სვავი უნდა ვახარხარო,
გამოვაცხო თბილი პური,
ემაწვილები გავახარო!

მე-17—20 №№-ში მოთავსებულ გამოცანების და რებუსის ახსნა:

1) ცეცხლი, 2) გოგრა, 3) კაი შვილი დედ-მამის გულის ვარდიაო.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი ი. პ. თუმანიშვილი.

3/94

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1918 [illegible]

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეთოთხმეტე. — წელიწადი მეთოთხმეტე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა რედაქციას, ეცდება მცირე-წლოვანთათვის წინანდელივით **ორი წიგნი** გამოსცეს თვეში და მოზრდილთათვის—**ერთი წიგნი**; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, 32 გვერდი, და ერთი წიგნი—მოზრდილთათვის.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—12 მან. ნახევარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. **Редакція „Накадули“, Головинскій пр. №8.** შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ტ სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ტ ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძესთან, **ლანჩხუთში** - მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**